№ 158 ივლისი 25, ოთხშაბათი 1890 ივლისი 25, ოთხშაბათი № 158


| გაზეთი ღირს | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


„Иверія" (ежедневно).
КУТАИСЪ
2-й гильд. куп. Беро гр.
Пурцхванидзе.

# ივერია

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, აბეშიძის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

## ახალი ამბავი

*** ამ დღეებში ტფილისიდგან გაემგზავრა ეჩმიაძინში ინგლისის გაზეთის „Daily News"-ის კორრესპონდენტი ბ-ნი ფიცჯერალდი, რომელიც ეჩმიაძინიდგან წავა დაბა ბიურაკანში მის უწმინდესობის სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოზის მაკარის I სანახავად. ბ-ნ ფიცჯერალდს განზრახვა აქვს, მის უწმინდესობას არზრუმისა და ოსმალეთის სომხების მდგომარეობის შესახებ მოელაპარაკოს და მისი ნალაპარაკევი შემდეგისათვის რედაქციას აუწყოს.

*** მიხეილის საქალაქო საავადმყოფოს საფერშლო სკოლაში თუმცა ქართულს ენას ასწავლიან, მაგრამ ქართული გალობა-კი სავალდებულო არ არის. აქამდის ქართულის გალობისა მოსწავლეებმა არაფერი არ იცოდნენ, მაგრამ ამ ჟამად მასწავლებლის მ. ნათაძის მეცადინეობით ყმაწვილებს ზოგიერთი ხალხური და საეკკლესიო ხმა შეუსწავლიათ და ხანდახან საავადმყოფოს ეკკლესიაში ქართულადაც არის ხოლმე გალობა.

*** ამავე საავადმყოფოს ეკკლესიის მღვდელი ნ. მაჭარაშვილი აპირობს საკვირაო სკოლა გამართოს და მოსამსახურეებსა და ზოგიერთს ავადმყოფებსაც წერა-კითვა ასწავლოს ქართველებს ქართული და რუსებს რუსული.

*** ამ ჟამად ტფილისში იმყოფება მოჭიდავე მეგრელი, ბ-ნი ნესტორ ესებუა, რომელსაც უნდა კვირას, 29 ივლისს, ჭიდაობა გამართოს იტალიის ბაღში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ. ბ-ნი ესებუა შემდეგაც აპირობს ჭიდაობას, თუ გამოჩნდება ფალავანი და მოისურვებს სცადოს თავისი ძალა და ღონე მასთან ჭიდაობაში.

*** კახეთი: წრევანდელი მოსავალი თუ პურისა, თუ ქერისა, თუ ფეტვისა და თუ სიმინდისა, წარსულ წლებთან შედარებით, საუცხოვო მოსავალი არის. ჯერ, მართალია, მაგრე რიგად არ არის კალოები გახშირებული, მაგრამ ვისაც-კი გაულეწია და რაც-კი გაულეწია, საკმაოდ ემადლიერება მოსავალს. რაც შეეხება ვენახებს, თუმცა ჯერ გარდაწყვეტით არაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ მეტად არ მიგვაჩნია, ეხლავე ვენახებზედაც ის სასიამოვნო ამბავი ითქვას, რაიცა ხორბლეულობის მოსავალზედ. რაც-კი გამოუტანია წარსულის წლებისაგან დაზიანებულს ვაზს, საუცხოვო და სალი მტევანია, თუმცა-კი ზოგიერთს ადგილს და ისიც ალაგ ალაგ ნაცარი ეტყობა ცოტად. საზოგადოდ-კი ის შეიძლება სთქვას კაცმა, რომ, თუ ღმერთმა ცა და ღრუბელი დაუმშვიდა აქაურობას, ღვინის მოსავალიც არ ექნებათ ურიგო.

*** ფოთი: სული ამოგვხადა ამდენმა ქურდობამ სწორედ. 21 ივლისს, ნაშუაღამევის 2 საათზედ, შევიდნენ ქურდები ფანჯრიდამ აქაურის მცხოვრების ზექან თელიას სახლში და გაიტანეს 300 მან. ფულად და 200 მანათის თამასუქები. ამას გარდა ქურდებმა წაიღეს ორი ოქროს საათი, 150 მან. ღირებული. სულ თითქმის 650 მანათის ზარალი მისცეს.

*** იქიდამვე: 21 ივლისსვე აქ მეორე ქურდობა მოხდა. ქურდებმა მოჰპარეს ონისიმე იმიდეიშვილს 60 მან. ფული, ერთი ვერცხლის ქამარი, ვერცხლის საათი, რევოლვერი, ბეჭედი და 7 ვერცხლის მანათი. სულ 250 მან. ზარალი შეამთხვიეს. ქურდები ჯერ არ შეუპყრიათ.

*** ონი (რაჭა): ონის ხიდი ძალიან მიძველებულია და შეკეთება ეჭირვება. კაცს თავისუფლად ველარ გაუვლია ზედა ვერც ცხენითა და ვერც ეტლით, რადგან ცხენს ფეხი და ეტლს თვლები ჩატეხილს ფიცრებში უვარდება. ვგონებთ ამისთანა საქმეს თვალ-ყურის გდება უნდა, ვისგანაც ჯერ არს.

*** ხონი: გუშინ-წინ, 20 ივლისს, დ. ხონში გაჰმართა კონცერტი ჩვენებურმა ახალგაზდამ პლატონ მიხეილის ძე კაკაბაძემ, რომელიც მომავალს თთვეში მიემგზავრება პეტერბურგის კონსერვატორიაში სამუსიკო განათლების მისაღებად. პ. კაკაბაძემ ორის წლის წინად შეასრულა ქუთაისის გიმნაზია და მაშინვე უმთავრეს აზრად დაისახა მუსიკის შესწავლა, რომლისთვისაც აქამდე ემზადებოდა ქუთაისში ბ-ნის ფ. ქორიძის ხელმძღვანელობით. მან რიგიანად შეიმუშავა თავისი ხმა (ბარიტონი) და შარშან მიიღო მონაწილეობა კონცერტებში, რომელიც იმართებოდა ბ-ნ მ. ბალანჩივაძის თაოსნობით ბათუმში, სოხუმში და ქუთაისში. შარშანვე განიზრახა პ. კაკაბაძემ კონსერვატორიაში წასვლა, მაგრამ შევიწროვებულმა მდგომარეობამ და უფულობამ ხელი შეუშალა და იძულებული გაჰხადა, რომ ერთი წელიწადი კიდევ სამშობლოში დარჩენილიყო და ორიოდე გროში შეეგროვებინა თავის განზრახვის შესასრულებლად. ამასთანავე ფ. ქორიძესთან მზადება დღემდე არ შეუწყვეტია. წარსულს მაისში ჰქონდა კონცერტი ქ. ქუთაისში და წმინდა შამოსავალი დარჩა 150 მან. ოცს ამ თვისას ჩვენშიაც გამართა კონცერტი და, უნდა მართალი ვსთქვათ, მისმა სიმღერა-გალობამ ყველას დიდად ასიამოვნა. საკონცერტო დარბაზი სულ მთლად გატენილი იყო ხალხით. ყველას უნდოდა გაეგონა თავისის მეზობლის და მეგობრის გალობა. ფორტეპიანოზე უკრავდა ქ-ნი ელისაბედ კრინინისა. სწორედ ალტაცებაში მოიყვანა საზოგადოება, განსაკუთრებით მანდილოსნები ბ-ნ ბალანჩივაძის მიერ ნოტებზე გადაღებულმა სიმღერამ „შენ გეტრფი მარად", რომელიც ხანგრძლივის ტაშის კვრის და «bis» ის ძახილის შერმე გამეორებულ იქმნა. ეგრეთვე ჩინებულად შეასრულა პ. კაკაბაძემ სხვა-და სხვა ოპერებიდგან ამოღებული ადგილები, მაგალითად: „Богъ Всесильный"-მუსიკა გუნოსი, „Азра"-მუს. რუბინშტეინისა, «Ахъ, за что ты взволновала»-მუს. ვერდისა და სხვანი. გარდა ამისა აქაურის ორკლასიანის სასწავლებლის შეგირდების ხორო პ. კაკაბაძის ლოტბარობით ასრულებდა სხვა-და-სხვა სიმღერებს ბენაშვილისა და რატილისას, ტფილისის ქართულის დრამატიულის დასის არტისტმა ბ-ნმა სიმონიძემ (სიმონ გოგოლაშვილმა) წაიკითხა სცენები და დიდად ასიამოვნა მსმენელნი. ბ-ნმა წერეთელმა წაიკითხა მშვენიერი ლექსები. ერთის სიტყვით, კონცერტმა მხიარულად ჩაიარა და ყველამ რიგიანი კმაყოფილება მიიღო. ვისურვებთ, რომ პ. კაკაბაძეს ბედნიერად მოეყვანოს სისრულეში თავისი განზრახვა კონსერვატორიაში წასვლისა და მუსიკის შესწავლისა, მით უმეტეს, რომ ხმაც მშვენიერი აქვს და მუსიკის ნიჭიც თავიდგანვე მოსდევს. ვიმედოვნებთ, რომ პლატონ კაკაბაძე მალე გაუხდება ამხანაგად ისევ ჩვენსავე თანამემამულეს მ. ბალანჩივაძეს, რომელიც ეხლა პეტერბურგის კონსერვატორიაში მეცადინეობს.

*** იქიდამვე: წინამძღვრიანთ-კარის სკოლის სასარგებლოდ წარმოდგენა დანიშნულია დ. ხონში კვირას, 29 ამ თვისას. წარმოდგენილი იქნება: 1, „კათხა", 2, „ცოლი თუ გინდა, ეს არი!" ბოლოს დივერტისმენტი: პლატონ კაკაბაძე იმღერებს სხვა-და-სხვა ხმებს, ბ-ნი სიმონიძე წაიკითხავს სცენებს და ბ-ნი წერეთელი ლექსებს. მონაწილენი: სიმონიძე, ქუთათელაძე, მენაბდე, ქ-ნი სიმონიძისა, ლორთქიფანიძისა და სხვანი. იმედია, რომ ჩვენი საზოგადოება ბლომად შეიკრიბება ამ წარმოდგენაზე და მით შემწეობას აღმოუჩენს კეთილს საქმეს.

*** მუხრანი: წელს ძალიან კარგი მოსავალი მოვიდა ჩვენსკენ. პური და ქერი უკეთესი აღარ უნდა, რომ წელს არის. სიმინდებიც დიდს იმედს იძლევა. ვენახებს შიგა და შიგ რიგიანად ასხია. რაც ვაზი გადარჩა გახმობას შარშან, ან შარშან-წინ ზამთარში, კარგად მოისხა. მაგრამ ყველაზე სასიხარულო ის არის, რომ პური მოვიდა დიდი. ცოტა გუდაფშუტა გამოერია, მაგრამ მაინც სისხლივით პური დახვავდება ხოლმე კალოზე. თითქმის ორი წილი ხვავი

## ფელეტონი

### სიმღერა

ნუ დამელევი, სიმღერავ,
ნუ დამაძინებ ძილსაო!
ვინ რაც უნდა სთქვას, მიყვარხარ,
როგორც ქართველის შვილსაო!
ბევრჯელ ვყოფილვარ ავადა,
გული მქონია მტირალი...
თვალზედ-კი ვერვის უნახავს
ცრემლები ჩამომდინარი!..
ბევრჯელ მეც მინდა ვტიროდე,
ცრემლები მენატრებიან:
ცა მოიწმენდავს, ღრუბელნი
წვიმად რო დაიღვრებიან.
მაგრამ მედგარი ეს გული
ცრემლად არ დაიწურება;
როგორც დიდი აქვს ვარამი,
ისეც ღრმად ჩაიხურება..
დეე, გვთავაზოს ნაღველი
ხშირად საწუთროს კერამა
და გული გვიწყლას სევდამა,
როგორც პრომეტეს ძერამა,—
ჩვენ უფრო მაღალ-მაღალი
ვსთქვათ, თავს ნუ მივცემთ ძრწოლასა,
ბოლმას ნუ შემამჩნევინებთ
ნურვის იოტის ტოლასა!
მოქუჩდეს დარდი, მოგუბდეს,
ეგებ აივსოს ფიალი,
რომ მერე ცოფი... რა მერე?!
ვიზედ გავხეთქო, ტიალი?!.
უკვდავ, უცვლელთთან რას იზამს
ჩემი ულონო ფრთხიალი?!

1890 წ. ბაჩანა

### სამი ქალი

(ლეონ ჭანდილიოსი)

ყმაწვილი კაცი მიდიოდა გზად, რომელსაც აქეთ-იქით იასამანი და კუნელი ერტკა არშიად, და იმ ჯვარედინა ალაგას შესდგა, საცა გზა სამად იყოფებოდა.

ყოველ გზის პირას თითო ყმაწვილი ქალი იდგა.

პირველი თეთრ-ყირმიზი იყო, მეორე—შავგვრემანი, მესამე—ქერა.

თეთრ-ყირმიზს ცის-ფერი თვალები ჰქონდა, შავგვრემანს—ლურჯი, ქერას—მაყვალსავით შავი.

პირველს იის კონა ეჭირა ხელში, მეორეს გულზედ მიხაკის თაიგული ჰქონდა მიმაგრებული, მესამეს კბილებში ალის-ფერი ვარდი ეკავა.

პირველი წერწეტი იყო და იმისი ჰაეროვნება და სინარნარე აშკარად ჰმოწმობდა ქალწულებას ყმაწვილის ქალისას; ნათელი თვალები, ბროლსავით გარდაშლილი შუბლი და ნაზი კანი სხეულისა უტყუარი ნიშანი იყო იმის კდემა-მოსილობისა.

მეორე უფრო წარმოსადეგი იყო და კარგად ეტყობოდა, რომ თავის მშვენიერებას თითონვე ჰგრძნობდა, თვითვე აფასებდა; ბრწყინვალე თვალები, უკადრისი, ამაყი შუბლი და შავგვრემანი კანი ოდნავ გაგრძნობინებდათ, რომ ეს ქალი დიდი, დიდი მოყვარულია ვნებათა ღელვისაო.

მესამე ტანით სულ მცირე იყო, მაგრამ მეტად მომხიბლავი, მეტად კოპწია მიხვრა-მოხვრა ჰქონდა; მისი თვალი ნაპერწკალს გამოსცემდა, ნაოჭად შეკრული შუბლი შიშს აგრძნობინებდა კაცს და სახე-კი სიკეკლუცით უბრწყინავდა და უღიმოდა.

პირველი წამოდგა წინ და მიჰმართა ყმაწვილს კაცს:

— მე შენი საცოლო ვარ. მწუხარებითა და გულის ცახცახით მოგელი მას შემდეგ, რაც გულმა კარი გაუღო უცნაურს გრძნობას სიყვარულისას... სიყვარულით თავს შემოგავლებ ჩემს სიცოცხლეს და მთელს ჩემს არსებას შენ შემოგწირავ. მე ის ერთგული და გაუყრელი მეგობარი ვარ შენი, რომელმაც ოჯახის კერაზედ შვილები უნდა გამოგიზარდოს და ამით უფრო განამტკიცოს ცოლქმრული კავშირი. დიაღ, შენი საცოლო ვარ, ჭაბუკო, და ყოველთვისაც მეყვარები.

მეორემ ჩახჩურჩულა:

— მე საყვარელი ვარ შენი და დიდის ცნობის-მოყვარეობით მოგელი მას შემდეგ, რაც ჩემი გული გამოურკვეველმა სურვილმა და ნატვრამ აღავსო... ერთს წუთს გაგრძნობინებ ჭეშმარიტს სიყვარულს, ჩემის გულის მცირეოდენს ნაწილს შენ დაგისაკუთრებ. მეგობრობას გაგიწევ და მზად ვიქნები გაგიზიარო ყოველივე სიამოვნება და სიტკბოება, ვიდრე ბოლო მოეღება ჩვენს წუთიერს, არახანგრძლივს კავშირს. ბევრი-ბევრი, ერთს, ან ორ დღეს მიყვარდე.

მესამემ უთხრა:

— არც საცოლო ვარ შენი და არც საყვარელი. არასოდეს არ გელოდდი და არც გული მაქვს ატოკებულ-აჩქროლებული გრძნობით. დაგტანჯავ ჩემის სისასტიკით, სიცოცხლეს ამოგიშხამავ, გდევნი, გაწამებ და ნაწამებს ოდნავაც-კი არ შეგიბრალებ. თანამგზავრად გექმნები, დაგიკავშირდები, მაგრამ მოგატყუებ-კი, არ გიერთგულებ. მე უსახელო არსება ვარ და არასოდეს არ შეგიყვარებ.

ყმაწვილმა კაცმა სამივეს თვალი გადაავლო და კარგა ხანს ჰსინჯა თითო-თითოდ.

პირველი ქვაზედ ჩამოჯდა და მწარედ დაიწყო ქვითინი.

მეორემ ოდნავ აიფშლიკა მხრები და წყნარის ნაბიჯით გაშორდა იქაურობას.

მესამემ გადიკასკას-გადიხარხარა და გაცქრიალდა.

ყმაწვილი კაცი?.. ყმაწვილი კაცი სიცილის ხმას აჰყვა და გაედევნა...

თრ-ანი

რჩება და ერთი წილი ბზე. სწორედ სულზედ-კი მოესწროთ მუხრანელებს ასეთი მოსავალი. შარშანდელმა და შარშანწინდელმა მოუსავლობამ მეტად გაუჭირა საქმე გლეხ-კაცობას. წრევანდელი წელიწადი სულ სიმინდითა და მჭადით გამოვიდა ხალხი იოლად. წინად აქ მჭადს ვერა ჰნახავდით, წელს-კი ყველა მჭადით იკვებებოდა. ბევრი ოჯახის-შვილი, რომელსაც ძველის-ძველი პური გამოულეველი ჰქონდა, წელს მჭადს აცხობინებდა, რადგან იმასაც-კი შემოელია პური. იქამდე გაჭირდა საქმე, რომ მჭადიც აღარსად არის დღეს და ბაზარში გამომცხვარს პურს ყიდულობდნენ ზოგიერთნი გლეხკაცნი, რადგან დღემდე კალო თითქმის არავის გაულეწია და თუნდა გაელეწოს, ახალი შემოსული პური საჭმელად არ არის კარგი, მძიმეა და მუცელსა სტკენს კაცს. ახე-კი მობრუნდა წელს ჩვენკენ ბედი და მოგვხედა ღმერთმა, თორემ თქვენი მტერი იყოს, რაც ჩვენ ვიქნებოდით.

⁂ გორი: აქ, ერთის კერძო ოჯახის წიგნთსაცავში, სხვათა შორის აღმოჩენილა ორი ფრიად საყურადღებო ხელთ-ნაწერი. პირველი ხელთ-ნაწერი პირია იმ ტრაქტატისა, რომელიც ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე—II-ემ შეჰკრა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინა II-სთან 1783 წ. გიორგიევსკში. ეს ხელთ-ნაწერი ამ საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის და ასე იწყება: სახე, რომლისაებრ უგანათლებულესობა მისი მეფე ქართლის და კახეთისა ირაკლი თეიმურაზოვიჩი ჰყოფს ფიცითსა აღთქმასა ერთგულებასა ზედა აღთქმასა მისისა იმპერატორებისა დიდებულებისა თვით მპყრობელისა ყოვლისა რუსეთისასა და აღსარებისა მფარველობისა და უზენაესის ხელმწიფებისა იმპერატორთასა მეფეთა ზედა ქართლისა და კახეთისათა. მეორე ხელთ-ნაწერი წარმოადგენს მსოფლიო მოგზაურის დელაპარტის წერილების თარგმანს, რომელიც ეკუთვნის მღვდელს იასე გარსევანიშვილს. ეს წერილები უთარგმნია იმას 1712—1713 წლებში.

⁂ 21 ივლისს აქ სპარსეთის ხელოვნებათა მინისტრი ჯაჰანგირ-ხანი ჩამოვიდა და იმავე დღეს, საღამოს, კავკავისკენ გაემგზავრა ვენაში წასასვლელად („ტ. ფ.“)

⁂ სურამის გვირაბში, როგორც „ახ. მიმ.“ გაუგონია, ორთქლ-მავალი 30 აგვისტოდგან დაიწყებს თურმე სიარულს. გვირაბის გაკეთებას რაც რამე მასალა გადარჩა, ზესტაფონში გადაიტანენ ახალის რკინისგზის შტოს გასაყვანად ჭიათურამდე.

⁂ იმავე გაზეთს გაუგონია, რომ ახალის რკინის გზის შტო ჭიათურისა «ყვირილის» სადგურიდგან-კი არა, ძირულისა და მდ. ყვირილას შესართავიდგან დაიწყებაო, ე. ი. შორაპნის ციხეს ახლოდგან.

⁂ გაზ. „Сѣв. Кав.“-ში აირასა სწერს ვიღაც მოგზაური საქართველოს სამხედრო გზის შესახებ: გაკვირვებული ვარ, რომ საქართველოს სამხედრო გზაზე ამდენს უწესოებას მოუყრია თავი და ყურადღებას-კი არავინ აქცევს. ოთახებში დიდი სიბინძურე და უწმინდურებაა, ყაზარმის სუნი სდგას, ზეწარი და ბალიშის პირი და, საზოგადოდ, ქვეშ-საგები გაშავებულია და ბუფეტებს-კი ნულარ იკითხავთ. „ყაზიბეგის“ სადგურზე მჟავე ღვინო და აყროლებული ხორცი მომიტანეს. არც მცხეთასა და დუშეთშია უკეთესი ბუფეტები. ძალიან თუ არავის მოშივდა, ისე ვერავინ დააკარებს იქაურს საჭმელს პირსა.

⁂ დ. ხონი: აქ 15 ივლისს, დღეობაზე, ორი კაცი წაიჩხუბა და ერთმა მათგანმა მეორის ცოლი მოჰკლა. ამ საქმის გამო გამოძიება სწარმოებს. მკვლელი თავს იმით ჰმართლულობს, რომ მთვრალი ვიყავი და აღარაფერი აღარ მახსოვსო. („ახ. მიმოხ.“).

⁂ ივლისის 23 სპარსეთის ქვეშევრდომმა აისორმა აბრამ-შავლი-ოღლიმ გამოაცხადა, რომ მიხეილის ქუჩაზე გუშინ ბაღში ჩემი ბიძაშვილი ისააკ ბაბაევი გადმოვარდა ხიდგან, სახლში მოიყვანეს და გარდაიცვალაო. ეს კაცი ემინოვის სახლში მუშაობდა თურმე, ასულიყო მაღალს ხეზე და გადმოვარდნილიყო. საქმე გადაეცა ადგილობრივის პროკურორის ამხანაგს.

⁂ ამავე დღეს, დილის შვიდს საათზე, ქვრივი დეისტვიტელნი სტატსკი-სოვეტნიკისა ოლღა ალექსანდრეს ასული ლილოვის სადგურიდგან, რომელიც ნიკოლოოზის ქუჩაზე იმყოფება, მოიპარეს სამოვარი და სხვა-და-სხვა ტანთ-საცმელი სულ 22 მანეთისა. ბრალი ამ საქმეში დასდვეს ტფილისში მცხოვრებელს, მეორე სავაჟო გიმნაზიის შვეიცარს მარტინ იანიცკის, რომელიც შეიპყრეს და სასამართლოს გადასცეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

უწერის წყლები, 19 ივლისი. მომსვლელთა რიცხვი იმდენია, რომ ტევა აღარ არის სახლებში, ამის გამო სოფლად ეძებენ ბინებს და იქა სცხოვრებენ, თუმცა სოფლად ძნელი საცხოვრებელია. ჯერ რომ იქ ოთახები ვიწროები აქვთ გაკეთებული, თავისთვის საცხოვრებლად, და მასთან იმდენად ბნელი, რომ საპყრობილე გეგონებათ. თვით გლეხის ეზო ხომ ეზოს არა ჰგავს: იგი სანაკლეა და არა ეზო. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გაჭირებაში არიან ის ავადმყოფები, ვისაც ბინა სოფლად შეხვდათ.

რაჭაში საზოგადოდ ეზო პატარა იციან ადგილის უქონლობის გამო. ამ ვიწრო ეზოში აქვთ მოთავსებული ყოველი შრამელი და სხვათა შორის ბოსელიც. იქვე ბოსელთან იმყოფება სანაკლე. ზამთრობით ეს სანაკლე ივსება ნაკელითა და ზაფხულობით სანაკლედ გადაიქცევა ხოლმე მთელი ეზო, იმიტომ რომ ზაფხულობით ბოსელში აღარ ამწყვდევენ ოთხფეხს, არამედ აშვებული ჰყავთ ეზოში. რასაკვირველია, ასეთს ეზოს საშინელი სუნი ექნება ზაფხულის პაპანაქება სიცხეებში და თუ მიჩვეული არა ხართ, ძნელი გასაძლისია ასეთს ეზო-მიდამოში. წელს მთავრობას განკარგულება გაუცია მთელს მაზრაში, რომ სანაკლეები გაზაფხულზედვე დაცლილი იყოს ნაკელისაგან და ეზოდგან შორს გადაიტანონ. ამ ყოვლად გონიერს განკარგულებას უმოქმედნია რაჭველებზედ, და ცოტა არ იყოს, ახლა უფრო სიწმინდეა დამყარებული აქაურს სოფლებში. მაგრამ, როგორც თვით ჩემის თვალით დავრწმუნდი, ჯერ კიდევ სავსებით ვერ არის ეს განკარგულება სისრულეში მოყვანილი. თუმც უმეტესობას ნაკელი გაუტანია ეზოდგან, მაგრამ ისევ მახლობლად დაუყრია. ზოგიერთს-კი არ გაუტანია, იქვე მიწა წაუყრია თვალის მოსატყუებლად და მიუმალავს ან და სულაც არ უხლია ხელი. ყოველს განკარგულებას, მეტადრე ახალსა და შეუჩვეველს საქმეს, დიდი თვალ-ყურის გდება და მუყაითობა სჭირია, თორემ ხალხი ყურს არ ათხოვებს და უნაყოფოდ დარჩება თვით ასეთი ყოვლად საყურადღებო სასანიტარო განკარგულებაც.

უწერელებს ამინდი კარგი გვაქვს, წყლებითაც შევეძლია ვისარგებლოთ, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ღამღამობით ძილს არ გვანებებს „მრავალ-ჟამიერის“ ძახილი და რევოლვერის ბათქი-ბუთქი. ღამეს არა სჯერდებიან ზოგიერთნი და დღისითაც ხშირად განაგრძობენ ხოლმე ბახუსის სამსახურს. ასეთმა ყოფა-ქცევამ მიიქცია მთავრობის ყურადღება და იმედი გვაქვს, რომ აწი მაინც იქნება გვეყოლოს ამდენს ხალხს მფარველი და მცველი ამოღებულის ხმლისა და მოღერებულის დამბაჩებისაგან. ბევრი ასეთი სუსტი ავადმყოფია, რომ თოფის ხმაზედ გული ულონდება და, როდესაც ამ ეზოში მონადირეებს (სხვა რომ არა არის-რა, ჩიტებს ესვრიან და თხებს შუაზედა სწყვეტენ ერთის ხმლის დაქნევით) სთხოვენ, რომ ამას ნუ კადრულობთ, შიშმა ქალები გადაგვირიაო, ისინი ამაყად პასუხს იძლევიან: «ჩვენს სახლში და ჩვენს ეზოში რაც გვინდა, იმას ვიზამთო (?) ვის რა დავა აქვსო».

მჟავე წყალზედ ახლა ბილეთები შემოიღეს. ვინც წყალს ისურვებს, ეძლევა ბილეთი 5 კაპეიკად და მთელი დღე სარგებლობს წყლით. თვით წყლის პატრონი, ბატონი გამყრელიძე, ხშირად იმყოფება იქვე და დიდს ყურადღებას აქცევს ყოველისფერს. ღარიბებს უფასოდ ეთმობათ წყალი, თუმცა ძნელია გამოარჩიოს კაცმა, რომელია მდიდარი და რომელია ღარიბი.

---

კახეთი. მოგეხსენებათ, რომ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკმა სიღნაღისა და თელავის მაზრის ზოგიერთს სოფლებში ვენახის ავადმყოფობის წამლებისა და იარაღების საწყობები გამართა. ამასთანავე მოამზადა ექვსი კაცი, რომელნიც ეხლა სოფლად გამოვიდნენ და ვენახის წამლობას ასწავლიან ხალხსა. ეს საგანი ფრიად საყურადღებო საგანია ყველასათვის და ამიტომ მე მსურს მოკლედ მაინც ავწერო, თუ რა შედეგი მოჰყვა ბანკის ასეთს განკარგულებას. ვენახების ავადმყოფობა დიდი ხანია გამოჩნდა, მაგრამ დღემდის ხეირიანად თავს არავის შუდგია. ამის მიზეზი გახლავთ წამლობის უცოდინარობა და ხალხის უნდობლობა ამ ახალ საქმისა. თვით მთავრობამაც გამოგზავნა თავისი დასი ვაზის საწამლავად, მაგრამ ხალხი მაინცა და მაინც ვერ ენდო სრულიად. შარშან

---

## დედაკაცი

(ინდოელთა ლეგენდა)

როცა ყოვლად ძლიერმა მაგადევამ მშვენიერი ინდოეთი შეჰქმნა, ჩამოფრინდა დედამიწაზედ და ამ თავის ნამოქმედარის ქვეყნის ცქერით უნდოდა დამტკბარიყო. იმის ფრენით თბილი და სურნელოვანი ნიავი გაჩნდა, უშველებელმა მზისა და მუხის ხეებმა თავი მოიხარა მაგადევას წინაშე და იმის თვალ-წინ გაიშალა და გაიფურჩქნა ნაზი, თეთრი და სურნელოვანი ზამბახი. მაგადევამ ერთი სუმბული მოსწყვიტა და ლურჯად მობიბინე ზღვაში გადააგდო. ნიავ-ქარმა შეარხია წყალი, შეატოკა და მშვენიერს ზამბახს გარშემო თეთრი ქაფი შემოახვია. სულ ერთს წუთს არ გაუვლია, რომ იმ ერთის ზამბახისაგან დედაკაცი გაჩნდა. ეს დედაკაცი სუმბულსავით ნაზი და სურნელოვანი იყო, ნიავ-ქარსავით—სუბუქი, ზღვასავით—მოღალატე და გაუტანელი, ზღვის ბრწყინვალე ქაფსავით—მშვენიერი. ეს სიმშვენიერე კიდევ იმითი ჰგავდა ზღვის ქაფს, რომ იმასავით სწრაფ-წარმავალიც იყო.

დედაკაცმა თვალის ახილებისათანავე ბროლის მსგავსს მდინარეში ჩაიხედა და წამოიძახა:

— რა მშვენიერი ვარო!

მერე მიმოიხედა და სთქვა:

— რა ლამაზი და ტურფაა ეს ქვეყანაო!

ამას შემდეგ დედაკაცი წყლიდგან მშრალი გამოვიდა ნაპირზედ (მას შემდეგ დედაკაცები ყოველთვის მშრალად გამოდიან წყლიდგან).

დედაკაცის დანახვაზედ დედამიწაზედ ყვავილები გაიშალა და ციდგან-კი ათასობით ცნობის-მოყვარე თვალმა დაუწყო ყურება ამ მშვენიერს არსებას. ეს თვალები აღტაცებით აინთო და გაბრწყინდა და მას შემდეგ ვარსკვლავებად გადაიქცა. ვარსკვლავი ასპიროზი შურით აინთო და ამიტომაც ეხლა ცისკრის ვარსკვლავი სხვებზედ ძალიან ანათებს.

დედაკაცი ტურფა ტყესა და მინდორში დასეირნობდა და უხმოდ, უსიტყვოდ სტკბებოდა ბუნების სიმშვენიერით. ბოლოს ასეთი ცხოვრება მოეწყინა და ნაღვლიანად წამოიძახა:

— ოო, ყოვლად ძლიერო მაგადევავ! შენ შემქმენ და დამბადე ასეთი მშვენიერი, ჩემგან ყველაფერი აღტაცებაშია, მაგრამ მე-კი არ მესმის, არ მეყურება იმათი აღტაცება, არა ვიცი-რა, ყველაფერი ჩუმად, ხმა-ამოუღებლად სტკბება შენ მიერ გაჩენილის დედაკაცის სიტურფითა და ჰაეროვანებით.

ამ საჩივარის გამგონე მაგადევამ ურიცხვი და მრავალთ-უმრავლესი ფრინველი გააჩინა. ეს ამოდენა ფრთოსანი დაჰფრინავდა და ყმაწვილს ქალს უგალობდა, იმის სიტურფეს აქებდა და ამკობდა. დედაკაცი ისმენდა ამ სტვენა-გალობას და იღიმებოდა. ერთის დღის შემდეგ ფრინველებმაც თავი მოაბეზრეს და კვლავ მოიწყინა.

— ოჰ, ყოვლად-ძლიერო მაგადევავ! შესძახა ქალმა: მიგალობენ, მაქებენ და მამკობენ, მარწმუნებენ, რომ დიდად ტურფა, დიდად მშვენიერი ხარო, მაგრამ რას ვაქნევ ამ სიმშვენიერეს, თუ არავინ მომეხვევა და არავინ მომეალერსება!

მაშინ ყოვლად-შემძლე მაგადევამ მშვენიერი და ნარნარად ტან-მრხეველი გველი გააჩინა. მცურავი ეხვეოდა და ელერსებოდა დედაკაცს, სულ იმასთან იყო, სულ იმის ფეხებთან სრიალებდა და გვერდიდგან არა შორდებოდა. ნახევარი დღე ჰსიამოვნებდა ქალი, შემდეგ კიდევ მოიწყინა და ინატრა:

— ახ, მე რომ მართლა მშვენიერი და ტურფა ვიყო, სხვანიც მომბაძავდნენ! აგერ ბულბული მშვენიერად ჰგალობს, და ჩიტებიც იმასა ჰბაძავენ და იმასავითა სცდილობენ სტვენა-გალობას. ალბად ისეთი ლამაზი არა ვარ, როგორიც ჩემი თავი მგონიაო!

დედაკაცის სასიამოვნებლად მაგადევამ ახლა მაიმუნი გააჩინა. მაიმუნი ყოველ ხელის გაქნევას ქალისას ჰბაძავდა და დედაკაციც ექვსის საათის განმავლობაში კმაყოფილი იყო თავის ბედისა, ხოლო შემდეგ-კი თვალიდგან ცრემლები გადმოაბნია და დაიძახა:

— ტურფაცა ვარ, მშვენიერიც! მიგალობენ, მეხვევიან და მეალერსებიან, ფეხ ქვეშ მეთელებიან და მბაძავენ. ყველა მე შემომცქერის, ჩემის ცქერითა სტკბება და ისე შემომნატრის, ისეთის შურის თვალით მიყურებს, რომ შიშიც-კი მეპარება გულში. შურით ჩემი მტრობა რომ მოინდომონ, ვინ დამიხსნის განსაცდელისაგან, ვინ მომეხმარება და მფარველად ვინ მექმნება?

მაგადევამ ძლიერი და ღონიერი ლომი გააჩინა და ის უწევდა დედაკაცს ქომაგსა და სარჩლს. ყმაწვილი ქალი სამს საათს მადლიერი იყო, მაგრამ სამი საათს შემდეგ ისევ წამოდრტვინდა:

— მშვენიერი ვარ, მაგრამ რაო ჩემო! მეალერსებიან და მე-კი ვერავის ვეალერსები! ვუყვარვარ და მე-კი არავინ მიყვარს! ან ვინ შევიყვარო, როცა არავინ არის ისეთი... ამ უშველებელსა და საშინელს ლომს ხომ ვერ შევიყვარებ, ლომს, რომლის ერთი დანახვაც-კი შიშით გულს მიხეთქავს!

ამ სიტყვების დასრულებისათანავე, მაგადევას ბრძანებით, ქალს ახლო პაწია, მშვენიერი გოშია გამოჩნდა და ხელის ლოკვა დაუწყო ამ თმა-ხუჭუჭა ძაღლმა.

— რა საუცხოვო ცხოველია, როგორ მომწონსო! შესძახა დედაკაცმა და დაუწყო ძაღლს ალერსი.

ეხლა-კი აღარა აკლდა-რა და სათხოვარიც აღარა ჰქონდა-რა. ეს გარემოება ძალიან ეჯავრა ქალს. გულის ბოლმის ამოსაღებად ძაღლს შემოჰკრა, გოშიამ ჩაიწკმუტუნა და გაიქცა; ახლა ლომს დაარტყა, ლომმა ერთი დაიბრდღვინა და გაშორდა ქალს; გველსაც ფეხი დაადგა, მცურავმა გაისისინა და სადღაც გაცურდა. რომ აღარავინ იყო, ახლა მაიმუნსა და ჩიტებს დაუწყო ქალმა ჯავრობა და ისინიც მოეცალნენ...

— ოჰ, რა უბედური ვარო! დაიძახა ქალმა და მეტის მწუხარებით ხელებს დაუწყო მტვრევა: როცა კარგს გუნებაზედა ვარ, ყველანი მეალერსებიან და თავზედ მევლებიან, და ოდნავ ავ-გუნებაზედ შევიქმნები თუ არა, ყველა გარბის ჩემგან. მარტო ვარ, ობლად, არავინ-და მყავს! ოჰ, ყოვლად-ძლიერო მაგადევავ! უკანასკნელად მოგმართავ, ერთს მოწყალებასაცა გთხოვ და პირს ნუ ამარიდებ: ისეთი არსება გააჩინე, რომ სულ ჩემს გვერდით იყოს და გულის ბოლმა იმაზედ ვიყარო ხოლმე; ჩემგან ნურსად გაქცევის ნებას თუ მისცემ, ვინიცობაა ავ-გუნებაზედ შევიქმნე; დაავალე, რომ ჩემი სიანჩხლე და სიკაპასე მოთმინებით აიტანოს და ცემაც-კი რომ დავუწყო, ხმა არ ამოიღოს.

მაგადევა ჩაფიქრდა და კარგა ხნის ფიქრს შემდეგ... კაცი გააჩინა...

ი. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო აქაიქ უწამლეს ვენახებს, დანარჩენი ვენახის პატრონები-კი ისე გულდაჩაგრული შეჰყურებდნენ თავიანთ ვენახების განადგურება ა და არაფერი ღონე არ ულონიათ. წელს სულ სხვა არის. 150-ზე მეტმა კაცმა უწამლა თავის ვენახებს. რით აიხსნება ეს გარემოება, ესეთი წრევანდელი მუყაითობა შედარებით შარშანდელთან? მარტო იმას ვერ ვიტყვით, რომ ხალხი დარწმუნდა წამლობის სარგებლობას და იმიტომ მოჰკიდა ხელი ამ საქმესა? ცალიერი დარწმუნება ვერაფერს იზამდა, თუ ცოდნა და წამლობის იარაღი და მასალა არ ექნებოდა გვერდზედ. ბანკისაგან გამოგზავნილმა წამლობის მცოდნე კაცებმა სწორედ დიდი საქმე და მადლი ჰქმნეს. ესენი მხარში უდგანან მამულის პატრონებსა, ასწავლიან და ეხმარებიან წამლობაში. გლეხებმა ბევრგან სთქვეს, რაკი ასეთი ადვილი ყოფილა ვენახის წამლობა, მერმისისათვის არც ერთი ჩვენგანი ვენახს უწამლეველად არ დასტოვებსო. ამას გარდა იმითია კარგი და სასარგებლო ეს ბანკის განკარგულება, რომ ხალხს შეძლება მიეცა, თავიდგან აიცილოს ზოგიერთ ვაჭრბატონების ხრიკები და მოტყუება. რამდენმამე ვენახის პატრონმა სიღნაღში იყიდა ვაზის შესაყრელი გოგირდი და ნახევარზე მეტი სიმინდის ფქვილი ჰრეოდა. ისეთებიც გამოჩნდნენ, რომლებიც კისრულობდნენ ვენახის წამლობასა და ფულსა თხოულობდნენ, მაგრამ ისევ უწამლობა არჩიეს იმათთვის ფულის მიცემასა, რადგან ისინი მამასისხლად აფასებდნენ თავიანთ შრომასა და წამლობას. თ. ჩერქეზიშვილს ოთხის დღის ვენახის წამლობაში 300 მან. სთხოვეს, იმან ორი საპალნე ღვინო აძლია და; რადგან ვერ მორიგდნენ, ვენახი ისევ უწამლეველი დარჩა. მერმისისთვის იმედია უკეთესად წავა ვენახების წამლობის საქმე, რადგანაც წრევანდელის წლის გამოცდილება და დაკვირვება უნაყოფოდ არ დარჩება და მეორეც, რაკი უკვე დარწმუნდნენ და შეიგნეს ვენახის წამლობის სარგებლობა, გლეხებიც უფრო გულ-მოდგინებით მოჰკიდებენ ხელს.

N.

## სოფლის მეურნეთა საყურადღებოდ.

გაზ. «Новое Время»-ში დაბეჭდილია ფრიად საინტერესო და ამასთანავე საყურადღებო წერილი და მეტი არ იქნება ჩვენს მკითხველებსაც გავაცნოთ იმის შინაარსი. ეს წერილი შეეხება სოფლის მეურნეობასა და კერძოდ მიწის პატივის ანგარიშს.

როგორც ცხოველი იკვებება, აგრეთვე მცენარეც, და როგორც ცხოველს ესაჭიროება წყალი, ჰაერი და სხვა ნოყიერი ნივთიერება, აგრეთვე მცენარესაც. ამოსწუწნეთ ჰაერი რომელისამე ჭურჭლისაგან და ჩასვით შიგ, მაგ., თაგვი ან სხვა პატარა ცხოველი; სულ მცირე ხანში ამოუვა სული. აგრეთვე ამისთანავე ჭურჭელში რომ მცენარე ამყოფოთ, ისიც მალე დასჭკნება. თუ არ ასმევთ ცხოველს წყალს, წყურვილი მოჰკლავს; გოლვა და უწყლობა მცენარესაც მალე მოუღებს ბოლოს; ყველამ იცის თუ შიმშილი რა ადრე უსწრაფებს ცხოველს სიცოცხლეს; ისიც ყველამ იცის, რომ მცენარე მწირს მიწაზე ვერ იხარებს.

მეურნესათვის უფრო ეს უკანასკნელი გარემოება არის საყურადღებო. მართლაც მწირს მიწას ისეთი რა აკლია, რომ ვერა ჰზრდის მცენარეს, ვერ აძლევს საკმაო სარჩოსა და საკვებს? ამას შემდეგი მაგალითი დაგვანახვებს ნათლად: ჩაჰყარეთ ქოთანში ცალიერი სილა, რომელსაც თავისთავად მცენარის აღმოცენება არ შეუძლიან, და შეურიეთ სხვა-და-სხვა მარილები, წყალი, ერთის სიტყვით, სხვას ნურას ნუ მოაკლებთ, მხოლოდ ნუ მიუმატებთ: გვარჯილას, ქაფურს, ნურც რომელსამე გვარჯილა-ნარევს ან ქაფურ-ნარევ ნივთიერებას, ნურც მცენარისა ანუ ცხოველის გახრწნილსა და დამპალს რასმე ნაწილს და ნურც ნაკელს. როდესაც ჭურჭელს ისე აავსებთ, როგორც ზემოდ გირჩიეთ, დათესეთ პური. ცოტა ხანს შემდეგ თესლი ამოვა, მაგრამ გაზრდით-კი ველარ გაიზრდება, მალე დაჭკნება და ბოლო მოეღება. თუ მეორე ქოთანში ყველა ზემოხსენებული ნივთიერება გარიეთ, მაშინ-კი ჯეჯილი მშვენიერად ამწვანდება, გაიზრდება და ნაყოფსაც გამოიღებს. მაშასადამე, მცენარისა და ცხოველის გახრწნილი ნივთიერება, ნაკელი ან სხვა ამ გვარი საზრდო საკვებია მცენარისათვის, უმისოდ მცენარე ვერ იზრდება და ნაყოფ-გამოულებელი სჭკნება. თქმა არ უნდა, რაც უფრო მეტი იქნება მიწაში ამგვარი ნოყიერი ნივთიერება, იმდენად უკეთესი ამოვა მცენარეც. თუ რამდენსამე წელს ერთსა და იმავე ყანაში სულ პური, ქერი და ან სხვა მცენარე მოიყვანეთ წლის სარჩოდ, ისე შეისვამს და შეიწოვს, რაც რამე ნოყიერი ნივთიერება იქნება მიწაში, რომ, თუ პატივი აღარ დააყარეთ, ანუ, როგორც ამბობენ, თუ არ გაასუქეთ, მოსავალს თითქმის სულაც აღარ მოგცემთ. ეს გარემოება უმეცნიერებოდაც კარგად იცოდა და იცის ყოველმა მეურნემ და, უნდა ვსთქვათ, რომ ყველაზედ უფრო მძიმე და ყურადსაღები საქმე მამულის პატრონისათვის მიწის გასუქება და განაყოფიერებაა.

მაგრამ ერთს მეცნიერს ახლა საკვირველი თვისება აღმოუჩენია ლობიოსი, მუხუდოსი, ცერცვისა და სხ. ამ გვარის მცენარისა. ზემოხსენებულ ქოთანში, სადაც პურს, ქერს, სიმინდსა და სხ. აღმოცენება არ შეუძლიანთ, ლობიოს, მუხუდოს, ან ცერცვის თესლი რომ დათესოთ, მცენარე თურმე ჩინებულად აღმოცენდება, ნაყოფს გამოიღებს და უნოყიერო მიწასაც გაასუქებს, გაანაყოფიერებს. მწირს მიწაზე თუ რამდენისამე წლის განმავლობაში ზედი-ზედ სთესეთ ლობიო, მიწა თან-და-თან უფრო-და-უფრო გასუქდება, უფრო-და-უფრო გაკეთდება, ასე რომ ლობიო პატივის მაგიერობას უწევს თურმე ყანას. ეს გარემოება, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ჩვენს სოფლის მეურნეს ჯერ არა აქვს შემჩნეული და მით უფრო სასურველია, რომ ეს თვისება ზემოხსენებულის მცენარისა გამოიყენონ და თავიანთი მწირი მიწები მოსავლის წყაროდ გადააქციონ.

# რუსეთი

15 ამ თთვისას ვადა გაეიდა თხოვნის შეტანისა სამხედრო სამკურნალო აკადემიაში შემსვლელთათვის. სულ 290 მთხოვნელი მისულა და ამათგან 230-ს პირველ კურსიდგან სდომებიათ სწავლის დაწყება, თავისუფალი ადგილი კი მხოლოდ 140 ყოფილა. რადგანაც მთხოვნელების რიცხვი ასე აღმატებულა, რომ თითო ადგილზე თითქმის ორი მოდის, ამიტომ წელს, აკადემიის მთავრობის გარდაწყვეტილებისამებრ, საშუალო ნიშანი სწავლისა 3,8 ნაკლები არ უნდა ჰქონდეს მთხოვნელსა, რომ მიღებულ იქმნას ამ სასწავლებელში. როგორც უკვე მოხსენებული იყო ჩვენს გაზეთში, პეტერბურგის ოლქის გიმნაზიებში სწავლა დამთავრებულებს უპირატესობა მხოლოდ მაშინ მიეცემათ სხვა ოლქის გიმნაზიებში სწავლა-დამთავრებულებთან შედარებით, თუ სწავლის საშუალო ნიშანი ერთი და იგივე ექმნებათ. იმ საგნის განხილვა, მიეიღოთ თუ არა სამკურნალო ფაკულტეტის 2 და 3 კურსის სტუდენტები სამკურნალო აკადემიაშიო, კონფერენციას აქვს მინდობილი. კონფერენციას თავისი პირველი კრება სექტემბრის 15 ადრე არ ექნება.

— ტუკუმანში სასოფლო სამეურნეო გამოფენა გაიმართა. წინანდელს გამოფენებზე უცხო ქვეყნების იარაღი, საქონელი და ნაწარმოები სჭარბობდა ხოლმე ადგილობრივს, მაგრამ ამ ჟამად ყველაფერი ადგილობრივი გაცილებით უფრო მეტია უცხო ქვეყნებისაზე.

— გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი 5 აგვისტოს მობრძანდება რეველში და მაშინვე გაემგზავრება ნარვაში, სადაც მის უდიდებულესობას ოფიციალურად უნდა მიეგებნენ.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე შეუმუშავებია პროექტი იმ ცვლილებათა შესახებ, რომელიც საპოლიციო დაწესებულებაში უნდა მოხდეს. ამ პროექტში ვრცლად მოხსენებულია, რა უფლება აქვთ პოლიციის წარმომადგენლებს, რა საქმეები ექვემდებარება მათ და როგორ და სად უნდა დაიწყოს საჩივარი იმათის უკანონოების შესახებ.

— 8 ივლისს ქალაქს ბელცაში საშინელი მუშტის კრივი და ცემა-ტყეპა მომხდარა. რამდენსამე მატროსს ერთის მედუქნისაგან მწვანე კიტრი უყიდნია, პატარა ხანს უკან მატროსები უკანვე მისულან მედუქნესთან და აურზაური დაუწყიათ, ჩვენი ფულები დიგვიბრუნე, რადგანაც შენი კიტრები უხეიროები გამოდგაო. მედუქნეს უარი უთქვამს და კიდეც ამას მოჰყოლია მთელი ვაი და ვაგლახი. მატროსები გაცხარებულან და ჩხუბი აუტეხიათ მედუქნეს რომ შეუტყვია, ჩემი საქმე ცუდად არისო, ამდგარა და გაქცეულა. მატროსები და ბევრიც სხვანი ფეხდაფეხ დასდევნებიან, შეუქმნიათ ყვირილი და ყველასთვის ლაწალუწი აუყენებიათ, ვინც-კი წინ შეჰხვედრიათ. ზოგიერთებს პოლიციელების ძებნა დაუწყიათ, მაგრამ, თუმცა ბაზარი დღეც ყოფილა, მაინც ნახევარ საათზე ადრე ვერსად ვერ უპოვნიათ. ბოლოს, როცა პოლიცია მოსულა, ასე ჰგონებიათ, ახლა მაინც ჩამოვარდება წესიერებაო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ხალხს თავისი არ დაუშლია, პოლიციის დანახვაზე უფრო გახელებულან და უარესი ქაჯაქუჯი შექმნათ. რომ საქმე ძლიერ გამწვავებულა, სხვა პოლიციელების დაძახებაც მოუწადინებიათ, მაგრამ შტვენასა და ყვირილისთვის ყური არავის უთხოვებია. გულ-მოსული პოლიციის მოხელე ისე გადარეულა, რომ ორის იქ მდგომ ყაზახისთვის დაუყვირია. „დაჰკათ, ვინც მოგხვდეთო!“ შექმნილა უარესი ცეცხლი და ოჰი; ვინ ვისა სცემდა და არტყამდა, აღარავის არა სცოდნია. ვიდრე ძლიერ არ დაღალულა ხალხი, არა და არ დაწყნარებულა, დაჭრილი და დაქეცილი ძლიერ ბლომადა ყოფილა. ერთისთვის თავი გაუჩეხიათ და ეხლა საავადმყოფოში წევსო:

— ქალაქ ოდესას ჯონ-პიტსის წებოს ქარხანაში, მუშა ი. სლიჩენკო, 40 წლისა, ხიფათით მთლად გარუჯული ცეცხლში. ნაშუადღევის 5 საათი ყოფილა, რომ სლინჩენკო რაღაც საქმისათვის ბნელს სარდაფში ჩაუგზავნიათ, როცა ჩასულა და სანთელი აუნთია, უეცრად ფეხი წამოუკრავს, ერთი ბენზინის ბოთლი გაუტეხია და მაშინვე საშინელი ალი მოსდებია მთელს სარდაფს. კვამლისა და ბუღისაგან სლიჩენკოს მალე თავბრუ დასხმია და უგრძნობლად დაცემულა. მალე რომ არ მიჰშველებოდნენ, სიკვდილს ველარ გადურჩებოდა, მაგრამ დროზედ მიუსწრიათ და გამოუყვანიათ. ეხლა საბრალო მთლად ტან-შეხრუკული და გარუჯული საავადმყოფოში წევს თურმე.

— აი ერთი ამბავი საქონლის გონიერებისა. ამას წინად ნოვოლადოჟის მაზრის სოფ. რუჩიაში ერთს მწყემსს ძუ დათვი დასცემია მინდორში და, რადგან ამ მწყემსს იარაღი არა ჰქონია-რა ხელში, დათვი ადვილად მოჰრევია, ჩაუგდია ქვეშა და კარგად უბუბნია. დაუნახავს ეს ამბავი ხარსა, რომელიც იქვე სძოვდა თურმე, მოვარდნილა, სცემია დათვსა და რქენა დაუწყია. დათვს კაცისთვის თავი გაუნებებია და ახლა ხარს შეჰბრძოლებია, მაგრამ იმისთვის-კი ბევრი ვერაფერი დაუკლია; ხარს ისეთი შეუტევია, რომ დათვს მაშინვე უკან დაუხევია და გაქცეულა. საწყალი მწყემსი ძლივ-ძლიობით წამომდგარა და რის ვაი-ვაგლახით მოუღწევია სოფლამდე. ეხლა საავადმყოფოში წევს თურმე.

# წვრილი ამბები

ამას წინად კიდევაც ამერიკის გაზეთებში გამოუცხადებია, რომ ვენგრიელი ახალგაზდა ქალი, ღარიბი, მაგრამ ლამაზი და ოჯახობის კარგად მცოდნე, ამერიკელს კაცს ეძებს ქმრად. მსურველს დაწვრილებითი პირობა პარიჟში, ამადა ამ ადგას, შეუძლიან შეიტყოსო. ამ განცხადებას ბევრი ამერიკელი მოუდოდრებია და თოთხმეტამდის გამოჩენილა ლამაზ ვენგრიელის მთხოვნელი. მალე მიწერ-მოწერაც გამართულა და ამ ქალს ყველა საქმროსთვის თითო თავისი სურათი გაუგზავნია. სურათის ნახვით ყველას მოსწონებია მისი სიტურფე, თითოეული მათგანი იმის შერთვას სიამოვნებით დათანხმებულა და თითქმის ყველას გზის ფულიც გაუგზავნია იმ ქალისათვის ამერიკაში წასასვლელი. ამასობაში ეს ახალგაზდა ვითომ-და ქალი (?), რა-კი კარგა ბლომა ფული ჩაუგდია ხელში, იმწამსვე გადაკარგულა და ისე გამქრალა, რომ იმის კვალი და ასავალ-ჩასავალიც-კი ვეღარ შეუტყვიათ.

— შვეიცარიაში გამოჩენილა ერთი ახირებული „მოციქული“, რომელიც ჰქადაგებს თურმე, რომ მეორედ მოსვლა 1896 წ. 5 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე, იქმნებაო და 144,000 კაცი ცოცხალად ამაღლდება ზეცასაო.

— ამას წინად ჩვენს გაზეთში გვქონდა მოხსენებული, რომ ერთმა ინგლისელმა 40 დღე იმარხულაო. ახლა, როგორც გაზეთებში სწერენ, ერთი ამერიკელი, უკვე 103 დღეა, რაც ჰმარხულობს თურმე და რამდენსამე დღეს კიდევ აპირობს უჭმელად ყოფნას.

— ალჟირში ერთს არაბს ძველ ნუმიდიის მეფის იუგურტის საჭურჭლე უნახავს და ის იყო უნდა გაეყიდნა თურმე, მაგრამ ამ დროს მთავრობას მიუსწრია, გამოურთმევია და პარიჟის მეცნიერებათა აკადემიაში გაუგზავნია.

— ამერიკის ერთს რკინის გზის მატარებლის ვაგონში ორი კარგად ჩაცმული კაცი შესულა ამას წინად და სათვალისოფიო ბაასი გაუმართავთ. ერთი ამტკიცებდა თურმე, რომ ახლა აღარავის აღარა სჯერა, თუ სული უკვდავიაო, მეორე-კი ამბობდა: არა, მე კაცობრიობის იმედი აგრე არ დამეკარგვია, დარწმუნებული ვარ, რომ უმეტეს ნაწილს კაცის სული უკვდავი ჰგონიაო. შემდეგ ამისა ერთი იმათგანი ზეზე წამოდგა, იქ მყოფ საზოგადოებას მიჰმართა და ჰკითხა თურმე: „აბა თქვენ გაგვასამართლეთ, რომელი ვართ მართალი და რომელი მტყუანიო; უმორჩილესად გთხოვთ, ვინც ჩემსკენ არის, მარჯვენა ხელი მაღლა აჰმართოსო“, როდესაც ეს თხოვნა აუსრულეს, ახირებულმა ფილოსოფოსმა განაგრძო თურმე: „ახლა გთხოვთ, ვისაც ჩემი არ გიჯერიათ, მარცხენა ხელი ამართეთ მაღლაო“. დანარჩენმა საზოგადოებამაც აუსრულა თხოვნა. შემდეგ „ფილოსოფოსს“ რევოლვერი ამოუღია და უთქვამს: „ვინც ხელებს ჩამოიღებს, იმ წამსვე სულს გავაფრთხობინებ! ჩემი ამხანაგი ფულსა და ძვირფასეულობას აგაცლით, თქვენ-კი უძრავად იდექით, ხმა არ ამოიღოთ, თორემ კაი თქვენს ტყავსაო!“ საზოგადოება შიშის ზარმა ისე აიტანა თურმე, რომ ვერავინ, არამც თუ ხელი ვეღარ გასძრა, არამედ ხმაც ვერ ამოიღო და როდესაც მეორე „ფილოსოფოსმა“ ყველა გაძარცვა და დაასცალიერა, ორივენი იმ წამსვე სადღაც გაჰქრნენ და გადიკარგნენ.

## გამოსადეგი ცნობანი

როგორ აკეთებენ ლორს რაჭაში. რადგანაც რაჭული ლორი და შაშხი *) სახელ განთქმულია, ამისათვის ურიგო არ იქნება, რომ ვიცოდეთ ყველამ, თუ როგორ აკეთებენ ლორს ჩვენში.

სანამ ლორს დაჰკლავდნენ, კეცებზედ ანუ ტაფაზედ გაახურებენ მარილს, რომ სინესტე ერთიანად მოაშორონ. ასე რომ გააშრობენ მარილს, წმინდად დაჰფქვავენ და ან დანაყავენ, შემდეგ გასცრიან წმინდა საცერში და შეინახავენ ლორისათვის. დამარილების დროს ხელმეორედ გააცხელებენ და თბილს მარილს დააყრიან ლორს.

როდესაც ლორს ჰკლავენ, ქვაბით წყალი ცეცხლზედ უნდა ეკიდოს და ცხელდებოდეს, რომ ახლად დაკლულის ლორის ხორცი არ გაიციონ და ისე გააკეთონ. გაფუფქვისა და გამოშიგნის შემდეგ აიღებენ თავს ხერხემალითურთ, რომელსაც კუდიც თან გაჰყვება. ამას გარდა ლორი ორ თანასწორ ნაწილად უნდა გაიჭრას. თითოეულს ნაწილს ფელიკს უწოდებენ.

მზარეული ყოველთვის სცდილობს ჩქარა გამოშიგნოს და დააფელიკოს ლორი, რომ გაუციებლად დაამარილოს.

*) შაშხად იწოდება დამარილებულ ფრინველის და ოთხფეხის ხორცი, გარდა ლორისა, რომელსაც ლორს ვუწოდებთ.

როდესაც ფელიკები მზად არის (ხორცს არ გარეცხენ), მზარეული სასხრავს ყოველს ასოს, მეტადრე იმ ალაგებს, სადაც ღორის ხორცი ძლიერ სქელია, ან მსხვილ-ძვლიანია. ამას იმისთვის შვრებიან, რომ მარილმა ყველგან გაუწიოს და კარგად გაუჯდეს. ამ გვარად მომზადების შემდეგ აიღებს მზარეული მარილს და დაყრის ყველგან, იმ ადგილებს გარდა, სადაც კანია. დამარილების დროს ერთის ხელით დასურილს ხორცს გადაშლის ხოლმე და მეორეთი ჩააყრის მარილს. მარილს არა ჰზოგავენ და ბლომად აყრიან.

დამარილებული ფელიკები თბილია ჯერ კიდევ და აი ისე აწყობენ სიგძით პატარა ხაპებში ერთმანეთზედ. შემდეგ დახურავენ რითიმე, რომ თბილად შეინახონ სამის დღისა და ღამის განმავლობაში. ამ სამის დღის განმავლობაში ერთხელ შეუნაცვლებენ, ზედას ქვემოდ მოაქცევენ და ქვედას ზემოთ დასდებენ. სამის დღის შემდეგ ამოიღებენ და შუა ცეცხლის პირად ჩამოჰკიდებენ, რომ ჩამოშრეს. როდეს მთლად ჩამოშრობა, შემდეგ მაღლა აიტანენ და სახლის სახურავსა, ან სხვენში ჩამოაბამენ, შუა ცეცხლს ახლოს.

ამ გვარად ჩამოკიდებულს ღორს კვამლი ყოველთვის ხვდება, როცა ცეცხლი ანთია სახლში. თუ სახმარად უნდათ, ერთის ან ორის თვის შემდეგ ღორი გამოსადეგად ითვლება; თუ არ უნდათ სახმარად, ღორს ჩამოკიდებულსა სტოვებენ მთელი ზამთარი და შემდეგ-კი სადაც გინდა შეინახოთ, აღარა უჭირს-რა.

◆◆

პეტერბურგის ბირჟა, 20 ივლისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — " | " | 6 73 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — " | " | 134, 62 |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — " | 1 11 | — " |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — " | — " | 231¾ |
| —მეორისა . . . . | — " | — " | 221 |
| —მესამისა . . . . | — " | — " | 216 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — " | — " | 100¼ |
| ქუთაისის ბანკისა . . | 100 | — " | — " |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — " | 90 " | — " |

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 16 ივლისამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 4½ კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. 3
" 2 " 2½
თორნის წითელი პური 1-ის ხარ. 5 "
" " 2 " 3½
" " 3 " 3 "
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა. . . . 5 "
მე-2 ხარისხისა . . . . 4 "
მე-3 — . . . . . " "
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 "
" 2 " 7 "
სუკი . . . . . . . 14 "
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 "
ღორის ხორცი . . . . . " "
" 2 " " " "

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და ყირიმში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე მორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (ყირიმსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდა და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს გადაზე გემები.

# განცხადებანი

ამიერ კავკასიის დედათა ინსტიტუტის ასაგებ შენობის საქმეთა გამგე კომისია საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 26 ივლისს, დილის 10 საათზე, საჯაროდ გაიყიდება:

1) ლუმელის მოწყობილობა, კარები და ფანჯრები ძველის, დანგრეულის შენობისა;

2) გადარჩენილი მასალა ხისა;

3) შეშად გამოსადეგი სხვა-და-სხვა მასალა და

4) სხვა-და სხვა რკინეულობა ხარახოებისა.

დაწვრილებით პირობათა შეტყობა მსურველს ინსტიტუტის კანცელარიაში შეუძლიან ყოველ დღე, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე.

(2—2)

დაიბეჭდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ სამმართველოში, «ქართ. წიგნების მბეჭდავ ამხანაგობისა» და ზაქ. ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში

## პრიყუდონი

გამოცემული გრ. თოიძისაგან.

ფასი 20 კაპ.

(3—1)

## „სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(40—13)

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

## გორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ „ნობათი“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «ლომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის-მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

## პატარა კახი

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . . | " | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | " | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . . | " | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . . . | " | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | " | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | " | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | " | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | " | 25 |

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

## დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

1890 г.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА

# ЭТНОГРАФИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ,

издаваемое этнографическимъ отдѣломъ императорскаго общества любителей естествознан антропологіи и этнографіи, состоящаго при императорскомъ московскомъ университетѣ,

**подъ редакціей секретаря отдѣла Н. А. ЯНЧУКА,**

при участіи слѣдующихъ лицъ: проф. *В. Б. Антоновича*, проф. *Д. Н. Ан чина*, *В. И. Ашмарина*, проф. *Д. И. Багалѣя*, *Е. В. Барсова*, *П. М. Б гаевскаго*, акад. *Ѳ. И. Буслаева*, *М. К. Васильева*, акад. *Александра Н. В селовскаго*, проф. *Алексѣя Н. Веселовскаго*, *Н. Л. Гондатти*, *А. Н. Грена*, *Я. Дерунова*, проф. М. *С. Дринова*, *И. Е. Забѣлина*, *Н. К. Зейдлица*, *А. Ивановскаго*, *П. В. Иванова*, А. А. *Кизми*, *В. В. Каллаша*, *В. В. Кандинска* проф. А. *И. Кирпичникова*, М. М. Ковалевскаго, проф. *Ѳ. Е. Корша*, *Г. И. Ку ковскаго*, *Ю. Н. Мельгунова*, проф. *В. Ѳ. Миллера*, *П. Н. Милюкова*, *В.* Михайловскаго, проф. А. А. *Потебни*, А. *П. Пыпина*, *Е. Р. Романова*, *И. Сизова*, проф. *И. Н. Смирнова*, проф. А. *И. Соболевскаго*, проф. *М. Соколова*, *Е. Т. Соловьева*, проф. *Н. Ѳ. Сумцова*, проф. *Н. С. Тихонравов В. К. Трутовскаго*, проф. *Г. А. Халетова*, А. *Н. Харузина*, *Н. Н. Хар зина*, А. *С. Хаханова*, *П. В. Шейна*, Н. М. *Ядринцева*, *Е. И. Якушкина* и д

Изданіе посвящено всестороннему изученію быта всѣхъ народностей Росс при чемъ ближайшими предметами статей и изслѣдованій будутъ служить сл дующіе вопросы:

1. Вѣрованія, обычаи, обряды.
2. Народная словестность, языкъ.
3. Народная музыка и др. искусства.
4. Народная медицина.
5. Юридическій бытъ: родовое и сословное устройство, семья, община и т.
6. Матеріальный бытъ, преимущественно въ связи съ бытомъ духовнымъ.
7. Историчеческая и доисторическая этнографія.
8. Обзоръ жизни и дѣятельности русскихъ этнографовъ.

Кромѣ изслѣдованій по частнымъ вопросамъ, будутъ помѣщаться также ст тьи общаго методологическаго характера, имѣющія руководящее значеніе.

Обширный **библіографическій отдѣлъ** изданія заключаетъ въ себѣ:

1. Отзывы о новыхъ книгахъ, объ изданіяхъ ученыхъ обществъ, земст и статистическихъ комитетовъ, по скольку таковыя касаются вопросовъ этнографіи.

2. Подробный обзоръ по возможности всѣхъ столичныхъ и провинціальныхъ періодическихъ изданій: ежемѣсячныхъ, еженедѣльныхъ, ежедневныхъ и др., съ указаніемъ находящагося въ нихъ этнографическаго матеріала.

3. Обзоръ и указатель иностранныхъ книгъ и изданій, въ особенности касающихся этнографіи Россіи и смежныхъ народностей.

Въ отдѣлѣ „**Смѣсь**" сообщаются мелкіе этнографическіе матеріалы.

Наконецъ, въ „**Извѣстіяхъ и Замѣткахъ**" помѣщаются обзоры дѣятельности ученыхъ обществъ и др. учрежденій, свѣдѣнія о музеяхъ, выставкахъ, съѣздахъ, экспедиціяхъ и т. п.

По мѣрѣ возможности бутутъ даваться также **приложенія**: портреты этнографовъ, образцы народной музыки, узоровъ и т. п.

„ЭТНОГРАФИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ" выходитъ **4-мя** книжками въ год (въ 12—15 листовъ каждая) приблизительно въ слѣдующіе сроки: 1-я кн.—в началѣ марта, 2-я—въ началѣ іюня, 3-я—въ концѣ сентября, 4-я—въ концѣ декабря.

Цѣна годовому изданію безъ перес. **4 р. 50 к.**, съ перес. **5 р.**, заграни **6 р.** Отдѣльныя книжки, какъ вновь выходящія, такъ и вышедшія, продают въ складѣ Общества (Москва, Политехническій Музей) и въ книжныхъ мага нахъ по **1 р. 50 к.** за книжку. Учащимся, сельскимъ учителямъ и священник дѣлается уступка **40%**.

Подписка принимается въ канцеляріи Общества (*Москва, Политехническій Музей*) и въ книжныхъ магазинахъ А. С. Суворина, (Москва и Петерб.), Н. П. Карбасникова, (Моск., Петерб. и Варшава), А. А. Карцева (Москва), Н. И. Мамонтова (Москва) и А. Ланга (Москва).

(10—10)

Доз. ценз. Тифлисъ, 24-го Іюля 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე